ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს და CEE Bankwatch Network-ის
შენიშვნები და კომენტარები
აჭარაში მყარი ნარჩენების მართვის პროექტის
წინასწარი გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტზე

შესავალი

2008 წლის 18 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ გამოცხადა "მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში" პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების საკითხებთან დაკავშირებული საჯარო კონსულტაციების პროცესის დაწყების შესახებ. "წინასწარი გარემოზე ზემოქმედების შეფასების" (სკოპინგი) დოკუმენტზე პირველი საჯარო განხილვის თარიღად განისაზღვრა 2008 წლის 26 და 27 აგვისტო.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ განცხადებას თან არ ერთვოდა პროექტის "წინასწარი გარემოზე ზემოქმედების შეფასების" დოკუმენტები (ინგლისური და ქართული), რის გამოც ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ დაუყოვნებლივ მიმართა განცხადებაში მითითებულ პროექტზე პასუხისმგებელ პირებს, თუმცა აღნიშნულ საკითხზე სათანადო პასუხი არ იქნა მიღებული. ამის შემდეგ ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ აღნიშნული საკითხის გასარკვევად მიმართა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (ერგბ), რომლის დაფინანსებითაც ხორციელდება საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

2008 წლის 16 სექტემბერს აჭარის მთავრობამ თავიდან გამოაცხადა პროექტის სკოპინგის დოკუმენტის საჯარო კონსულტაციების პროცესის დაწყება, რომლის თარიღებად განისაზღვრა 2008 წლის 22 და 23 სექტემბერი. თუმცა, არც აღნიშნულ განცხადებას ახლდა თან სკოპინგის დოკუმენტები (ინგლისური და ქართული ვერსია), რის შესახებაც მწვანე ალტერნატივამ დაუყოვნებლივ აცნობა ერგბ-ს. მეორე დღისთვის აღნიშნული პრობლემა ნაწილობრივ გადაიჭრა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ვებ-გვერდზე განთავსდა სკოპინგის დოკუმენტის მხოლოდ ქართული ვერსია.

2008 წლის 17 სექტემბერს აჭარის მთავრობის ვებ-გვერდზე სკოპინგის დოკუმენტის ინგლისური ვერსიის არ არსებობის გამო მწვანე ალტერნატივამ კვლავ მიმართა ერგბ-ს. პასუხად ერგბ-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აჭარის მთავრობის ვებ-გვერდზე მოთავსებული სკოპინგის დოკუმენტის ქართული ვერსია აღმოჩნდა არასწორი და ინტერნეტთან დაკავშირებული სირთულეების გამო ვერ ხერხდებოდა სწორი ვერსიის განთავსება. საბოლოოდ აღნიშნული პრობლემა გამოსწორდა მხოლოდ 2008 წლის 19 სექტემბრის საღამოს და სკოპინგის დოკუმენტის ინგლისური და ქართული ვერსიები განთავსდა ვებ-გვერდზე.

მწვანე ალტერნატივამ მიმართა როგორც ერგბ-ს, ასევე შვედურ საკონსულტაციო კომპანია SWECO International AB=ს განხილვის თარიღების გადაწევის თხოვნით, რადგან აღნიშნული

დოკუმენტების მიღებიდან (19 სექტემბერი) განხილვებამდე (22 და 23 სექტემბერი) რჩებოდა ძალიან მცირე დრო და საზოგადოებას ფაქტობრივად სამი დღე რჩებოდა დოკუმენტის გასაცნობად. სამწუხაროდ, პროექტის სპონსორებმა აღნიშნული თხოვნა არ გაითვალისწინეს.

პროცედურული შენიშვნები

1. ეფექტური სკოპინგ პროცესის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეცეს თავისი შეხედულებების გამოხატვის საშუალება. პროექტის სპონსორმა ამისათვის უნდა მოიწვიოს ყველა დაინტერესებული მხარე (ადგილობრივი, ეროვნული თუ საერთაშორისო დონეზე) გააცნოს ინფორმაცია პროექტის შესახებ, მიაწოდოს მათ სათანადო დოკუმენტაცია. სკოპინგის შეხვედრამდე საზოგადოებას უნდა მიეცეს საკმარისი დრო ამ დოკუმენტაციის გასაცნობად, რათა მათ უკეთ მოამზადონ შენიშვნები და კომენტარები, რაც საბოლოოდ ემსახურება პროექტის შესაძლო ნაკლოვანებების აღმოფხვრას.

სკოპინგის პროცესის კარგი პრაქტიკის პრინციპების საფუძველზე წარმართვისათვის, აუცილებელია სკოპინგის შეხვედრა გაიმართოს სკოპინგის დოკუმენტების გავრცელებიდან სულ მცირე 14 დღის შემდეგ. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მიაჩნია, რომ ზემოთაღნიშნულ შემთხვევაში ჩატარებული სკოპინგის შეხვედრა ატარებდა ფორმალურ ხასიათს, ვინაიდან დროითი შუალედი მოცემული დოკუმენტების გაცნობიდან სკოპინგის შეხვედრამდე იყო ძალიან მცირე.

2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჯარო განხილვების შესახებ არსებული წესების თანახმად[1], საჯარო განხილვა უნდა ჩატარდეს რაიონის იმ ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც იგეგმება საქმიანობა. მიუხედავად ამისა, სკოპინგის შეხვედრები გაიმართა მხოლოდ ქობულეთსა და ბათუმში და არა ჩაქვში, სადაც იგეგმება ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა.

ზოგადი შენიშვნა

1. სკოპინგის დოკუმენტის თანახმად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემასთან დაკავშირებით შესრულებულ იქნა ორი წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა, რომელიც დაფინანსებული იყო შავი ზღვის საინვესტიციო სააგენტოს (BSIF)-ის მიერ. აღნიშნული კვლევის დროს მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა ნაგავსაყრელის ახალი სანიტარული პოლიგონისათვის ადგილის შერჩევის პროცესი. ალტერნატივების ანალიზის შედეგად წინასწარ შერჩეული 6 ტერიტორიიდან ერთ-ერთს, კერძოდ, ჩაქვის ტერიტორიას გაეწია რეკომენდაცია.

სამწუხაროდ, BSIF-ის დაფინანსებით ჩატარებული ორი წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა საზოგადოებისათვის არ არის ხელმისაწვდომი, რაც აუცილებელია საზოგადოების მიერ ახალი სანიტარული პოლიგონის ადგილის სწორედ შერჩევის პროცესის შეფასებისათვის.

შინაარსობრივი შენიშვნები

1. სკოპინგის დოკუმენტის 2.2 თავში ნათქვამია, რომ ნაგავსაყრელის 6 შესაძლო ადგილის წინასწარი შერჩევის შემდეგ მოხდა მათი გარემოსდაცვითი თვალსაზრისით კომპლექსური შეფასება, 23 სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. კერძოდ, გათვალისწინებულ იქნა

[1] საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ (2008);

ბუნებრივი პირობები, დასახლებულ პუნქტთან და აეროპორტთან სიახლოვე, ზედაპირული და გრუნტის წყლების მდგომარეობა, ტრანსპორტირების შესაძლებლობები და ნაგავსაყრელის შესაძლო ტევადობა. წინასწარი შერჩევის პროცესის დასრულების შედეგად შემდგომი უფრო დეტალური შედარებისათვის გამოვლენილ იქნა 2 უპირატესი ადგილი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ჩაქვის ტერიტორია შეირჩა, როგორც უპირატესი ვარიანტი, სადაც უნდა ჩატარებულიყო შემდგომი კვლევები ნაგავსაყრელის შესაძლო განფენილობის დასადგენად და გარემოზე ზემოქმედების შესამცირებელი ზომების შესამუშავებლად.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ნაგავსაყრელის ალტერნატიული ადგილები ისე იქნა შერჩეული, რომ მათი გამორიცხვა მოხდა ძალიან მარტივად, რადგან ისინი არ აკმაყოფილებდნენ ელემენტარულ გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნებს, რის გამოც ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მიაჩნია, რომ აღნიშნული ნაგავსაყრელის პოტენციური ადგილის ალტერნატივების წარმოდგენა ატარებდა ფორმალურ ხასიათს. მწვანე ალტერნატივას აზრით, აუცილებელია წარმოდგენილ იქნას ნაგავსაყრელისათვის რეალური ალტერნატივები და მათი შეფასება მოხდეს დეტალურად. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ პროექტში არ იქნა წარმოდგენილი და შესწავლილი ე.წ. ნულოვანი ალტერნატივა, ანუ რა გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენა ექნებოდა არსებული ნაგავსაყრელების შენარჩუნებასა და მართვის გაუმჯობესებას.

გარდა ამისა გაუგებარია, რას ნიშნავს ჩანაწერი იმის შესახებ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ჩაქვის ტერიტორია უკვე იქნა შერჩეული როგორც უპირატესი ვარიანტი. იმ შემთხვევაში თუ უკვე წინასწარ არის შერჩეული ნაგავსაყრელისათვის ტერიტორია, მაშინ უკვე ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ აღნიშნული სკოპინგის ეტაპი ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს.

2. სკოპინგის დოკუმენტის 4.1 თავში საუბარია დაბა ჩაქვში ასაშენებელი ახალი ნაგავსაყრელის გარემოზე პოტენციური ზემოქმედებების შესახებ. აღნიშნული თავის ერთ-ერთ ქვეთავში საუბარია დამაბინძურებელი ნივთიერებების ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ თუ არ მოხდება გაზის **შეგროვება და დაწვა**, ამ შემთხვევაში ეს გლობალურ დონეზე ხელს შეუწყობს ატმოსფეროში სათბური გაზების გამოფრქვევის დონის ზრდას, და გარდა ამისა, ადგილი ექნება მახლობლად მცხოვრები მოსახლეობის შეწუხებას სუნით.

ჩვენი აზრით, აუცილებელია მოხდეს აღნიშნული საკითხის უფრო სიღრმისეული ანალიზი. საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა ტექნოლოგიით მოხდება ნაგავსაყრელზე წარმოქმნილი გაზების შეგროვება და დაწვა.

3. სკოპინგის დოკუმენტის ამავე თავის ერთ-ერთ ქვეთავში ნათქვამია, რომ მოძრაობასთან დაკავშირებული ზემოქმედება გარემოზე ნაგავსაყრელის შესაძლო ზემოქმედებათაგან დომინანტურს არ წარმოადგენს, მაგრამ ეკონომიკური ეფექტურობის თვალსაზრისით ტრანსპორტირების გზის შემოკლება მნიშვნელოვანია.

გაუგებარია რა იგულისხმება ტრანსპორტირების გზის შემოკლებაში: იგეგმება რაიმე ახალი გზის მონაკვეთის მშენებლობა ნაგავსაყრელამდე მანძილის შესამცირებლად, თუ იგულისხმება შემოთავაზებული ნაგავსაყრელის ხელსაყრელი ადგილმდებარეობა ბათუმსა და ქობულეთს შორის?

4. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აღნიშნული სკოპინგის დოკუმენტი სამწუხაროდ არ მოიცავს მოცემულ ადგილმდებარეობაზე კლიმატური პირობების (მათ შორის ქარის) შესახებ არანაირ ინფორმაციას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი უნდა ყოფილიყო ადგილმდებარეობის შერჩევის დროს, სუნის გავრცელების უარყოფითი ეფექტის შემცირებისათვის (საავტომობილო გზა და დასახლებული პუნქტი 300-500მ-ზე მდებარეობენ ჩაქვის ნაგავსაყრელი პოლიგონიდან).

5. სკოპინგის დოკუმენტის დანართ 2-ში, რომელიც ეხება "ნაგავსაყრელების შესახებ" ევროკავშირის 1999/31/EC საბჭოს დირექტივასთან შესაბამისობის შეფასებას, ნაგვსაყრელის შესახებ ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნების ცხრილში, აღნიშნულია, რომ ნაგავსაყრელს უნდა გააჩნდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ნებართვა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ:

- ნაგავსაყრელი იმართება კომპეტენტური პირის მიერ;
- ყველა აუცილებელი ზომაა მიღებული ინციდენტების თავიდან ასაცილებლად;
- ნაგავსაყრელის მდგრადობა და დახურვის შემდგომი ზრუნვა ფინანსურად უზრუნველყოფილია;
- პროექტი შესაბამისობაშია ნარჩენების მართვის გეგმასთან.

მის გასწვრივ მდებარე ცხრილში კი ნათქვამია, რომ კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებულია ჩაქვში დაგეგმილი ნაგავსაყრელის გეგმა.

გაუგებარია, როდის იქნა დამტკიცებული ამგვარი გეგმა და ასევე საინტერესოა ისიც, თუ ვის მიერ იქნა მიღებული და დამტკიცებული ის. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მიაჩნია, რომ თუ აღნიშნული გეგმა მართლაც არის დამტკიცებული, მაშინ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საერთოდ სკოპინგის პროცესის ჩატარების მიზანშეწონილობა.

6. მიუხედავად იმისა, რომ დანართში საუბარია ევროკავშირის ნაგავსაყრელის შესახებ დირექტივასთან შესაბამისობაზე, დოკუმენტში საერთოდ არ არის განხილული ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შემცირების მიზნით, კომპოსტირების დანადგარის დანერგვა.

7. სამწუხაროდ, სკოპინგის დოკუმენტში მოცემულია საკმაოდ მწირი მონაცემები ქობულეთისა და ბათუმის ნაგავსაყრელების დახურვასთან დაკავშირებით. დოკუმენტის 1.3 თავში ნათქვამია, რომ ძველი ნაგავსაყრელები დაიხურება გრუნტის საფარით და მის დახურვაზე პასუხისმგებელი იქნება აჭარის მთავრობა.

ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია რომ სკოპინგის დოკუმენტში უფრო დეტალურად იყოს გაწერილი ძველი ნაგავსაყრელების დახურვის გეგმა, რა ტექნოლოგიები იქნება გამოყენებული აღნიშნული ნაგავსაყრელების დასახურად, როგორ მოხდება აღნიშნული ნაგავსაყრელებიდან წარმოქმნილი გაზების მართვა და ა.შ.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

მისამართი: ყიფშიძის 5ა, მე-4 სადარბაზო, მე-7 სართული
ტელ: (995 32) 22-16-04, 22-38-74 ფაქსი: (995 32) 22-38-74
ელ.ფოსტა: datochipashvili@caucasus.net